



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

ქართული ენა და ლიტერატურა

ქუთაისი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ქართული ენა და ლიტერატურა Georgian Language and Literature

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამატებითი (Minor)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (თავი 8, მუხლი 52)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სტუდენტთა მომზადება ზოგადფილოლოგიური მიმართულებით, საბაზისო მოთხოვნათა შესაბამის დონეზე, ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ძირითად საკითხებსა და ქართველოლოგიის ზოგად პრობლემებში.

სწავლის შედეგი:**ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება საბაზისო ცოდნა ქართულ ლიტერატურასა და ქართველურ ენათმეცნიერებაში. შესწავლილ საკითხებს გააცნობიერებს ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში.

შეძენილი ექნება საბაზისო ცოდნა:

თანამედროვე ქართულ ენაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ძველ ქართულ ენაში, ქართული ენის ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში; ძველ ქართულ ლიტერატურაში; XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX და XXI საუკუნეთა მიჯნის ქართულ ლიტერატურაში, რუსთველოლოგიასა და ქართულ ფოლკლორში.

განუმტკიცდება სამეცნიერო ცოდნის დონე, მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება, შეეჩვევა სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობას, შეძლებს ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვასა და დასაბუთებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები:

მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება წინასწარ განსაზღვრულ მითითებათა შესაბამისად;

ძველი და თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიისა და ფოლკლორის საბაზისო საკითხების გააზრება, ახალ ინფორმაციებთან დაკავშირება და სათანადოდ შეფასება;

პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; ლიტერატურულ და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით გამართულ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად მომზადება;

დასკვნის უნარი

ფილოლოგიის დარგში ძირითადი პრობლემების ფორმულირება, ცალკეულ თემებთან დაკავშირებით მონაცემთა ბაზის შექმნა, სისტემატიზაცია, განზოგადება, სინთეზირება და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადოდ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

შესაბამის მითითებათა საფუძველზე შესწავლილი მასალის ინტერპრეტაცია და შეჯამება დარგობრივი სფეროსათვის შესატყვის მეთოდთა გამოყენებითა და თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

კომუნიკაციის უნარი:

ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციის, სპეციალური მასალის მოძიება, სისტემატიზაცია და შეჯამება; წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;

პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარ შეხედულებათა პრეზენტაცია, განმარტება და დაცვა;

სწავლის უნარი

დროის დაგეგმვა, ორგანიზება, პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება;

მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობების, შუალედური და ფინალური შეფასებების შედეგების შესაბამისად საკუთარი სწავლის პროცესის ადეკვატურად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებათა დადგენა.

ღირებულებები:

პროფესიული ეთიკის დაცვა და სხვათა დამსახურების ობიექტურად და კეთილსინდისიერად შეფასება.

კომპეტენციების ცხრილი:

	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა, გაცნობ.	ცოდნის პრაქტ. გამ.	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები

საგნები	თანამედროვე ქართული ენა - 1	+	+		+	+	
	თანამედროვე ქართული ენა - 2	+	+		+	+	
	თანამედროვე ქართული ენა - 3	+	+		+	+	+
	თანამედროვე ქართული ენა - 4	+	+		+	+	+
	ძველი ქართული ენა	+	+	+	+		
	ქართული ენის ლექსიკოლოგია და სტილისტიკა	+	+		+		
	ქართული ფოლკლორი	+	+	+	+	+	+
	ძველი ქართული ლიტერატურა	+	+	+	+	+	+
	XIX ს-ის ქართული ლიტ-რა	+	+	+	+	+	+
	XX ს-ის ქართული ლიტ-რა	+	+	+	+	+	+
	XIX-XX სს-ის მიჯნის ქართ. ლიტ-რა	+	+	+	+	+	+
	რუსთველოლოგია	+	+	+	+	+	+

მაინორის პროგრამის სასწავლო გეგმა :

№	კურსი	ს/კ	ლ/პრ/ დამ	კრედ	სემესტრი								
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	თანამედროვე ქართული ენა	3	30/15/80	5			5						
2	თანამედროვე ქართული ენა	3	30/15/80	5				5					
3	თანამედროვე ქართული ენა	3	30/15/80	5					5				
4	თანამედროვე ქართული ენა	3	30/15/80	5						5			
5	ძველი ქართული ენა	3	30/15/80	5							5		
6	ქართული ენის ლექსიკოლოგია და სტილისტიკა	3	30/15/80	5									5
7.	ქართული ფოლკლორი პრაქტიკით	3	30/15/80	5			5						
8	ძველი ქართული ლიტერატურა	3	30/15/80	5				5					
9	რუსთველოლოგია	3	30/15/80	5					5				
10	XIX საუკუნის ქართული ლიტ-რა	3	30/15/80	5						5			
11	XX საუკუნის ქართული ლიტ-რა	3	30/15/80	5							5		
12	XX- XXI სს-ის ქართ.	3	30/15/80	5									5
	სულ			60			10	10	1 0	10	10	10	

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785

ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. 4. დასკვნითი

გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის მაღალკვალიფიციური კადრი:

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებას უზრუნველყოფს შემდეგი მატერიალური რესურსები:

1. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები (წიგნადი, ელექტრონული);
2. ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის დეპარტამენტების კაბინეტები;
3. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომპიუტერული ცენტრები;
4. კეთილმოწყობილი აუდიტორიები;
5. სწავლებისათვის აუცილებლად საჭირო სხვა მატერიალური რესურსი: ქსეროქსი, ჰენდაუტი და ა. შ..